



მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 513 სთუთაბათი, ივლისის 5 1923 წ.

უმაღლესი საბჭო

ფასი 50,000

აი მუშათა პარტია!

პროლეტარიატის განვითარების სამშობლოში დღეს მუშათა პარტიის კონფერენცია ბურჟუაზიულ სამყაროს დამცველად გამოდის.

ინგლისი, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისს ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა, დღეს თუ მსოფლიოს კაპიტალისტური მეურნეობის ჰეგემონი არა, ევროპის ჰეგემონი მაინც არის.

ინგლისი, რომელსაც კოლონიალური პოლიტიკის წარმოება და ახალშენების მოპოვება დასაწრო სხვა ევროპის პარტია ქვეყნებმა, დღეს დიდი კოლონიების ბატონ-პატრონია.

ინგლისის პროლეტარიატი, მაღალ საფეხურზე მდგომი კულტურულად და ქონებრივად, რომელიც ავანგარდი უნდა ყოფილიყო სოციალური რევოლუციის მარქსისტების გაგებით, დღესაც რევოლუციის გერმანიის და ტომასის და ჰენდერსონის მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად არ გამოდის.

გლეხურ რუსეთში წითელი დროშის ფრიალი საყდრების გუმბათებზე და ინგლისში მუშათა კლასის ხელმძღვანელად მუშის საიდუმლო მრჩეველი, აი სიურპრისი მუშათა მოძრაობის.

მუშათა პარტიის კონფერენცია ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ იგი მხოლოდ სახელწოდებას ატარებს „მუშათა პარტიისა“. მათ ემინათ კომუნისტური ელემენტების გაძლიერება, ხელს უშლიან და კრძალავენ კიდევ რევოლუციონერულად გაწყობილი მასის შესვლას პარტიაში.

როგორც საშინაო პოლიტიკაში მუშათა პარტია ვერ სდგამს რადიკალურ ნაბიჯებს, ისე საგარეო პოლიტიკაშიც არსებითად ეთანხმება იმპერიალისტთა ექსპანსივებს.

ინგლისი ბატონია კოლონიების. დამონებული ერები დღესაც მწვავეთ განიცდიან ინგლისის დაწოლას, მუშათა პარტია ხმას უნდა იმალდებდეს ამ მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ იგი მხოლოდ განცხადებით კმაყოფილდება, რომ ყოველთვის იცავდა დამონებული ერების ინტერესებს, მთავარი ის არის რომ ამ დებულების საიდუმლოდ ფაქტები არ მოქმედებდა ინგლისის მუშათა პარტიაში.

აგრეთვე არ სჩანს კონფერენციის მიერ ენერგიული დაცვა საბჭოთა რესპუბლიკების ბატონობისა. უბრალო დეკლარაცია ამ დიდი მოვლენის შესახებ არ კმარა. დღეს ბურჟუაზიის წრეებიც, დაინტერესებული საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობით, მოითხოვენ მათ იურიდიულად ცნობას.

ცხადია ინგლისის მუშათა კლასის არა არის ტოკრატულ ნაწილს ვერ უხელმძღვანელებს მუშათა პარტია. ერთი მხრით კრიზისების გაღრმავება და კაპიტალის თავდასხმა, ხოლო მეორე მხრით კოლონიალური მოძრაობანი ხელს შეუწყობს ინგლისის მუშათა კლასის რევოლუციონერი მოძრაობის ზრდას. მუშათა პარტიის რევოლუციონერი ისევე გაკოტრდება, როგორც საერთოდ მე-2 ინტერნაციონალის რევოლუციონერი გაკოტრდა.

ინგლისი ბურჟუაზიული სულისკვეთების ქვეყანაა. ბურჟუაზიული ტენდენციები, მძლავრია არა ბურჟუაზიული ელემენტებში. ეს დიდხანს ვერ გასტანს. მუშათა მოძრაობის შეჩერებას მუშათა პარტია ვერ შესძლებს, ტომასები და ჰენდერსონები ვერ გამოიხატავენ მათ კლასობრივ ინტერესებს. ამიტომ მუშათა მასებისთვის დაისმის საკითხი არა მათი გზით სოციალიზმისაკენ, არამედ მათ წინააღმდეგ.

გაზეთი „სტრიკუნა“ ღირს

თვიურად 1,250,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 50,000 მან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალის ქუჩა, № 6

ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

გაწესდების ფასი:

1 გვ. 250,000 მან. წინასწარ
2 - 200,000

1 გვ. 2,500,000 მან.

2 - 2,000,000

რუსეთი და სპარსეთი

თეირანი. 1 ივლისი. თეირანში ჩავიდა აშშ. მალიშვი, რომელმაც ინახულა აშშ. მუშაიკი, სპარსეთის პოემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი და გერმანიისა და ოსმალეთის ელჩები. რაუტს, რომელიც გაიმართა აშშ. მალიშვიის საპრეზიდენტო, დაესწრნ სპარსეთის პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი, საგარეო პალატის თავმჯდომარე და წევრები, კომერსანტები და გაზეთების წარმომადგენლები. აშშ. მალიშვი მიესალმა სპარსეთის ვაჭრებს, მიიპატიჟა ისინი ნიენი-ნოვგოროდის ბაზრობაზე და მიუთითა იმ შეღავათებზე, რომელიც მიანიჭა სპარსეთის ვაჭრებს საქონელს მთავრობამ. საგარეო პალატის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მალიშვის და განაცხადა, რომ ბაზრობა უფრო შეუწყობს ხელს რუსეთ-სპარსეთის დაახლოებას.

აშშ. მუშაიკიმ საბჭოთა მთავრობის სახელით დაადასტურა სპარსეთის ვაჭრების მიპატიჟება ბაზრობაზე და უარყო ხმები ბაქოში 5 სპარსელი ვაჭრის დახვრეტის შესახებ. ეს ხმები არის ახალი პროვოკაცია საბჭოთა რუსეთსა და სპარსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩასაშლად.

1 ივლისი შესდგა სპარსეთის ვაჭრობის სამინისტროს უმაღლესი საგარეო საბჭოს შეერთებული სხდომა, რომელსაც დაესწრნ აშშ. მუშაიკი და მალიშვი, აგრეთვე სპარსეთის საგარეო საქმეთა და ოუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები. სხდომაზე განიხილა ნიენი-ნოვგოროდის ბაზრობასთან დაკავშირებული საკითხები. სპარსეთის მთავრობამ სასურველად აღიარა 1901 წ. ტარიფების დატოვება. აშშ. მუშაიკიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ესალმება ამ წინადადებას და მიიღებს მას ცნობად.

ახალი ამბები

— წინადადება მიეცა შრომის დაცვის განყოფილებას საქ. ახალგაზრდა კოლხისტურ კავშირის ტფილისის კომიტეტთან შეთანხმებით გაატაროს საერთო საფუძველზე მოზარდთა საგანმანათლებლო რიცხვი ამერიკულ კომიტეტის ქვემდებარე სახელმწიფოსა და წარმოებაში.

— თამაშის ტრესტისა და ცენტროტრამიტის ტფილისის დამფუძნებლის დავალიანების გამო დადგენილ იქნა, რომ თამაშის ტრესტს დავალიანების დასაფარავთ დაენიშნოს ა. წ. 1 აგვისტო, ხოლო ცენტროტრამიტს 1 ივლისი; თუ ეს სხენებულ ვადამდე — დავალიანება არ იქნება დაფარული, მაშინ აღნიშნულ ორგანოთ მუშა მოსამსახურენი მოხსნად იქნებიან სოც. დაზღვევიდან და აღმინსტრაცია პასუხის ვებაში მიცემული.

— წინადადება მიეცა სოც. დაზღვევის სამმართველოს, ერთი რესპუბლიკის დამფუძნებლის მოქმედების ფარგლებიდან მეორე რესპუბლიკის

ტფილისის საქალაქო კონფერენცია.

მე-3-ე სხდომა.

სხდომა იხსნება საღ. 7 საათზე თავმჯდომარის აშშ. პ. კვირკელია.

გრძელდება კამათი აშშ. სიმ. ხუნდაძის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობენ: აშშ. პ. ჯანიშვილი და მირ. სეფერიალადე.

საპასუხო სიტყვა ეძლევა აშშ. სიმ. ხუნდაძეს. ის დამატებით არკვევს ზოგიერთ საკითხებს, რომლის სრული გადაჭრაც მან ვერ მოასწრო მოხსენებაში.

კამათის დასასრულს კონფერენცია ღრმად სატრეკო კომისიას, კომისიაში შედიან: პ. ჯანიშვილი, აშშ. ამალიშვილი და გრ. ხაფორია. ისინი შემდეგ კონფერენცია გრ. ხაფორიის წესრიგის მეორე საკითხზე: მოხსენება პარტიული აღმშენებლობის შესახებ. მომხსენებელია აშშ. მირ. სეფერიალადე. წარსული პარტიული მუშაობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ამხანაგი არკვევს აწმყოს პარტიული მუშაობის მდგომარეობას.

შემდეგ მომხსენებელი ვრცელად ჩერდება პარტიული მუშაობის მომავალი პერსპექტივის და იმ უახლოესი პრაქტიკული მიზნების შესახებ, რომელიც დასახული ექნება ტფილისის საქალაქო კომიტეტს. დასასრულს მომხსენებელი იძლევა გეგმას, რის საფუძველზედაც უნდა დაეყაროს ტფილისის კომიტეტის მუშაობის მსვლელობა.

მომხსენების შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობას ღებულობენ: პ. ჯანიშვილი, გ. თავზარაშვილი, და გრ. ხაფორია, რომლებიც უფრო დეტალურად ეხებიან საკითხს, შეაქვთ პარტიული მუშაობის გეგმის ისეთი მუხლები, რომლებიც არ ყოფილან გათვალისწინებული მომხსენებლის მიერ.

საპასუხო სიტყვაში აშშ. მ. სეფერიალადე მიხალეობათ სივლის ყველა იმ დამატებებს, რომლებიც აღნიშნულნი იყვნენ ოპონენტების მიერ.

დამზღვევ კასის მოქმედების ფარგლებში (ან და ერთსა და იმავე რესპუბლიკის ერთი დამზღვევი კასიდან — მეორეში) დაზღვეულ შრომის ინვალიდთა გადასვლის გამომწვევ ოჯახურ მდგომარეობათა კონკრეტულობისათვის (თუ რა ჩაითვლება საპატიო მიზეზთა).

— სოც. დაზღვევის სამმართველოს წინადადება მიეცა შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია იმ ადგილებში უმუშევართა დაზღვევის შესახებ სადაც მოსაზრებულია შრომის ორგანიზაციის მუშა-ხელის მიღების ვალდებულება (მაგ. გორი, თელავი, სენაკი, ოზურგეთი და სხ.).

— ს. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოსთან არსებულ შავი ქვის მრეწველობის საგანგებო სამმართველოს საბჭოში ა. კ. შრ. სახ. კომ. რწმ. სამმართველოს წარმომადგენელთა დაინიშნა ლ. ლუშაძე.

— ამ ჯამად მუშავდება ახალი დებულება, ს. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატის შესახებ.

დასასრულს კონფერენცია ირჩევს კომისიის რომელსაც ევალება პარტიული მუშაობის პროექტის დეტალური შემუშავება.

კომისიაში შედიან: ალ. თურქია, გ. თავზარაშვილი და პ. ჯანიშვილი.

სხდომა სწყდება ღამის 11 საათზე.

მე-4-ე სხდომა.

თავმჯდომარეობს აშშ. პ. კვირკელია. დილუბის წესრიგის მიხედვით კონფერენციის უნდა მოეწინააღმდეგოს პარტიული პროგრამის შესახებ, მაგრამ საჭიროდ იყო ცნობილი მისი გადადგმა მორიგი სხდომისთვის.

სხდომა ისმენს მოხსენებას ტფილისის კომიტეტის მოქმედების შესახებ.

მომხსენებელია აშშ. დ. მელაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ტფილისის კომიტეტმა ვერ შესძლო საეკონომიკური შეფასება ყველა ის დავალებანი, რომელიც მას დაეკისრა პირველმა კონფერენციამ. კომიტეტი ვერ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, სხვა და სხვა მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. უმთავრესი რაც ხელს უშლიდა პარტიულ საორგანიზაციო მუშაობას ეს იყო ნივთიერი მხარის სისუსტე. მომხსენებელი არ ამართლებს ტფილისის კომიტეტის პასიობას. იგი ვრცლად ეხება იმ პირობებს, რომელშიც ტფილისის კომიტეტს უხდებოდა მუშაობა.

მომხსენების გარშემო იხსნება კამათი.

აშშ. პ. ჯანიშვილი დაწვრილებითი ანალიზს უკეთებს ტფილისის კომიტეტის მუშაობას და ამბობს, რომ ტფილისის კომიტეტმა ვერ გამოიჩინა სათანადო ენერგია ტფილისში პარტიული მუშაობის წარმატებისათვის. ამ უმოქმედობას კონდა როგორც ოპონენტები, ისე უფრო სუბიექტური მიზეზები, რის გამოც, ოპონენტის აზრით, ტფილისის კომიტეტი დიდი საყვედურის ღირსია.

რურის ოლქის ოკუპაცია.

ბერლინი. 3 ივლისი. საფრანგეთის ხელისუფლებამ ოკუპაციის რაიონი გაერცელა შვეიცარია, ვესტ-გაფენსა და ჰაგენზე.

კრუზის წარმოებები, სახელდობრ სადნობი ელექტროსადგური, რკინის ჩამოხსნევი და რკინის გზის მანქანების გაყოფილებები და ვაგონების სახელმწიფოებრივ დაჭერილია საფრანგეთის ჯარების მიერ მრავალ მუშას, ამის გამო, არ შეეძლო მუშაობის დაწყება.

ბერლინი. 3 ივლისი. მადრიდის ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც ინახულა რური, სწერს, რომ ოკუპაცია ქმნიდა რაიონში შესვლის დროს მის ეგონა, რომ ის ციხეში მოხვდა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რურში ცხოვრების პირობები, სრულებით არ ეთანხმება თანვედროვე გაგების თავისუფლებით შესახებ, მცხოვრებთა ერთმანეთთან მიმოსვლის საშუალებები კი საშუალო საუკუნოვან მოგზავრებებზე. საფრანგეთის მაროკოს ჯარები საშინელო მხეცურ ექსპედიციებს სჩადიან და შიშის ზარს სცემენ ბავშვებსა და ქალებს.

ლონდონი. 1 ივლისი. „დელილი-მეილის“ ცნობით, ინგლისის მთავრობამ ახალი ნოტი მიმართა ბელგიის მთავრობას სარეპარაციო საკითხის შესახებ. გაზეთების აზრით, თუ ბალდვინს გაუძნელებდა საფრანგეთთან ერთად მოქმედება, მაშინ ის სეპარატიული შეუთანხმდება გერმანიას, რათა უზრუნველყოფს ინგლისს მიერ გერმანიისაგან კუთვნილი ვალის განაღდება და ამით გაისტუმროს შეერთებული შტატებისაგან აღებული ვალისა. ჰეიგ-რობინს, რომ გერმანია სიამოვნებით უხვდება ასეთ შეთანხმებას. თუ ბალდვინმა ვერ შესძლო საფრანგეთის დარწმუნება რურის პოლიტიკის შესაცვლელად, მაშინ ინგლისი და შეერთებული შტატები გაერთიანებული ძალით მოახდენენ საფრანგეთზე გავლენას და მოსთხოვენ გერმანიის განაღდებას.

ლონდონის კონფერენცია.

პარიზი. 2 ივლ. ისმეტ-ფაშამ კონფერენციის მიმართა ნოტი, რომელშიც იგი თხოულობს, რათა ერთ სხდომაზე განიხილონ საკითხები სტამბოლის ევაკუაციისა, კუპონებისა და კონცესიებისა.

პარიზი. 2 ივლ. თათბირი მოხდა გენერალ პელეს, რომელიც და მონტენიოს შორის. ინგლისის ინსტრუქციებს დღეს საღამოს მოხვდნენ. კონფერენციის პენუმის სხდომა გაიმართება სამშაბათს. აღრიცხული იქნება სამივე კომისიაში მიღწეული შეთანხმებანი. საფრანგეთის დელეგატს გენერალ პელეს თათბირი ჰქონდა ბულგარეთის დელეგატთან და ათონიდან ჩამოსულ ალექსანდრესთან.

ანგორა. 1 ივლისი. „ენი გიუნ“ სწერს: „როი ლოზანას შენდევაც იმისა თუ მშვიდობიანობის საბოლოო გადაუჭრელი დარჩა. თუ მშვიდობიანობას

ვერ ველირსეთ, ამისი ბრალი დაედებათ ევროპის დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ორიოდ კაპიტალისტის ინტერესებს იცავენ, ჩვენ მზათა ვართ ვიომით კუპონების საკითხის გამო. რუსეთის ბოლშევიკები უაღრესად მართლნი არიან, როდესაც უარს აცხადებენ ევროპის ვალების განაღდებაზე. მოთმინების ძაფი ჩვენც გვიწყდება.

ლონდონი. 1 ივლისი. ადანიის გაზეთების ცნობებით, საფრანგეთის დელეგატებმა თავისი მთავრობისაგან მიწერილობა მიიღეს, რათა სტამბოლიდან ჯარები არ გამოიყვანონ, ვიდრე ირ მოწესრიგდება კონცესიებისა და ოსმალეთის ვალების საკითხი.

ახალი აღმოსავლეთში

ანგორა. 1 ივლისი. ეკონომიის კომისარმა განუცხადა „საკამეტ მილიე“-ს კორესპონდენტს, რომ რადგანაც კენენდიმ არ წარმოადგინა დანიშნულ ვადამდე შეპირებული სასოფლო სამეურნეო მანქანები და არ აავო 5 სახელოსნო, კომისარიატმა განაცხადა პროტესტი და გამოიყენა თავისი უფლება საკონცესიო ხელშეკრულების გასაუქმებლად.

ანგორა. 1 ივლისი. ადანიის გაზეთების ცნობით, ალექსანდრე ირანში ვრცელდება აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ. ფრანგები აწყობენ ადგილობრივ არა მუსულმან მცხოვრებლებიდან ტერორისტულ რაზმებს ოსმალეთის მოღვაწეების მოსაკლავად.

ანგორა. 1 ივლისი. ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისარიატის მოთათბირე სულამა „ენი ტურკია“-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ დღეებში განახლდა რუსეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულებისა და საკონსულო კონვენციის შესახებ. გულითადი მეგობრის საფუძველზე განახლდება ეკონომიური ურთიერთობის. ოსმალეთის მთავრობა და საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აშშ. სურცი ურთერთის ნაღობით და პატივისცემით მოქმედებენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წგრილმანი გაუგებრობანი თავიდან იქნება აუცილებელი.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

აგარაული საკითხი

ლონდონი. 1 ივლისი. მუშათა პარტიის უკანასკნელ სხდომაზე ერთ-ერთმა დელეგატმა შემოიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა მიწის სოციალიზაციას მუშათა პარტიის წინა კონფერენციაზე მიღებული პროექტის მიხედვით სათანადო პროგრამა არ გამოუშუშავებია პარტიის აღმასკომს სწორად. მაქსიმალდმა განაცხადა, რომ პარტიის აგარაული კომისია ამუშავებს ამ საკითხს. დღევანდელ კარმაიკელმა პროტესტი განაცხადა სიტყვა, რომ აღმასკომის მიერ აგარაული საკითხისადმი

(დასასრული იქნება)

გამართლებს მთელი საზოგადოება იქ იქნების. ვახშა-
მის შემდეგ რაც რო შორეული ხალხია წაყვანილნი თა-
ვით სახლებში. ვახშაში უკან ზოგიერთი ახალგაზ-
დები ნეტეს და „ნეჯიფის“ (ნეჯიფი ნიშნავს ნათ-
ლისა) წაყვანენ აბანოში, რომ აბანო, აბანოსა-
ყენ გამოვლენ და სახლშია გერევა და დაწყობენ
ჩაის ლეგებს, შუშპრობას (თამაშს) და სიმღერას თა
იქნობაში რომ მგება ჰქონას.

სამ საათის შემდეგ მეფეს წაიყვანენ სხო
უბანში და შაჰმაშვენი (მორთავენი) ხანჯლებს გამა-
რკმენ წელში ნეფე და ნეჯიფი. ათს სინსავესტენ
ხილით თითოზე მთელ ყანდს დასდებენ, ბიჭები
შაიდამენ თავზედა და მეფეს წინ გამოუძღვებიან,
ეგრევე ქალები შუშპრობით წინ მოუძღვებიან
ნეფეს და ასე მოიყვანენ სახლი ყანდებს დაამტე-
რევენ, თეფშებზედ ხილს დაჰყრიან ზედ დასდებენ
დიდს ყანდის ნატებს და ასე დაჟრეგებენ ხალხს,
ამის შემდეგ ხალხი თითო თავის შაიდამებზე ფულს
ამაილებს და ანიჭებენ ნეფეს, ფულს შემდეგ გა-
რბაობის სადილი სულ ცოტა რომ ვთქოთ ზუთას-
მა კაცმა მიიწი უნდა სადილი ქამოს ქორწილი,
სადილის შემდეგ მიწაყობენ მათარის ვაგზანს
„ახანძალსათვის“ (პატარძალი) წაყვანილ ქალი და
კაცი სტრინალარათა შუშპრობით და სიმღერით
ასიოდ კაცამდე, თან ახანძალს წაუღებენ ახალს
ტანისამოს, ამ ტანისამოსით შაჰმაშვენი და დიდის
ამბით და სიმღერით წამოიყვანენ ვაჟიანთან. თან

წერილები რედაქციის მიმართ

ქართველ-უდინების საქართველოში გადმო- სახლების გამო.

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ ნება
დაგვართთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვცე-
ხადოთ შემდეგი:

ა. წ. 3 ივნისს საქართველოში ახლად გადმო-
სახლებულ ქართველ-უდინთა სასარგებლოთ სახელ-
მწიფო ოპერის თეატრში უდინთა დამხმარე საზო-
გადოების მიერ გამართული იქმნა საღამო, რომლის
საერთო შემოსავალი უდრდა 803.060.000 მა-
ნეთს.

აქედან საღამოს მოსაწყობად დაიხარჯა
232.609.000 მან. ღირსა წმინდა ზომოსავალი 570.451.000 მა-
ნეთი.

ამ თანხაში შედის შემოწირულებანი შემდეგი
დაწესებულებებისაგან და პირებისაგან: წითელ-
ჯვრის საზოგადოებისაგან 37.437.000 მან.; მუშათა
და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისაგან—
10.000.000 მან., ლადო ტატიშვილისაგან—10.000.000
მან., მირიან ბურჟულაძისაგან—5.000.000 მან., ლაფ-
რენტი ცუცქერიძისაგან—900.000 მან. და მოქ. დი-
თეშისისაგან—700.000 მან.

ამ საღამოს დამოუკიდებლათ შემოსწირეს
უდინთა სასარგებლოთ საზოგადოების მიერ შემო-
ღებულ ქვეთარების წიგნაკების საშუალებით:
სახელმწიფო ოპერის არტისტებმა და თანამ-
შრომლებმა—22.000.000 მან.

სხვა და სხვა პირებმა მოქ. ისიდორე ვარაზ-
შვილის ხელით—91.000.000 მან. და ერთი ოსმა-
ლური ქალ. ღირსა.

სხვა და სხვა პირებმა მოქ. არჩილ მდივნის
ხელით—5.790.000 მან., ზ. სილიკაშვილის ხელით—
7.000.000 მან., 2. ბერიძის ხელით—2.000.000 ა.
აჯაიშვილის ხელით—4.800.000 მან., განათლების
სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისაგან—
43.863.000 მან., სხვა და სხვა პირებმა მოქ. ლორ-
თქიანიძის ხელით—13.000.000 მან., და წინანდ-
ლის სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურისაგან—
28.520.000 მან.

ამას გარდა არ შეიძლება არ აღინიშნოს ის
დიდი ყურადღება და დახმარება, რომელიც ახლად
გადმოსახლებულებს აღმოუჩინეს: ანხ. ვანო ხტუ-

ქალები წინ მოუძღვებიან შუშპრობით, ხელში
„დასმლებით“ („დასმლი“ ხელსახოცია) ახანძალსა-
თი ხელი მოუჭიდია ერთ მხარეს ვაჟის ძმას, რომ-
ელსაც მარჯვენა ხელში ამოღებული ხმალი უჭი-
რავს, მეორე მხარეს ქალის ძმას, და როდესაც მა-
ახლოვდებიან ნეფიანთ სახლს, ახანძალი დადგების
და მითხოვს ნეფეს, ვაჟიანთ სახლიდან ნეფე და
ნეჯიფი გამოეგებებიან წინა და ასე წამოვლენ, რომ-
ცა სახლის კარებთან მოვლენ ახანძალი მაშინ მა-
ითხოვს თავის მამამთილ-დედამთილს. ამ დროს დე-
დამთილი გამოუტანს ნულსა და ახანძალს თავზედ
დააყრის.

ახანძალს როდესაც თავიანთ სახლიდან წამო-
იყვანენ თავზედ დაადგენ „კაკალს“ („კაკალი“
არის აბრეშუმის ქსოვილიდან შეკერილი „კოპი“
რომელიც ქართულ ძველებურს გვირგვინს თუ მოა-
გონებს) რომელსაც აგრედვე ვეძახით „კოკოშას“
რომლის ზემოდანაც ახანძალს ჩიქილა აქვს გადმო-
ფარებული სახეზე.

ამის შემდეგ ქალს წაიყვანენ სახლი.
ამ ღამით გერევი გამართვენ ვახშამს. ემ ღამესა
ჰქიან ქორწილის ღამე. მეორე დღით სტუმრები
თავ-თავიანთ სახლებში მიდიან. რომდენიმე დღის
შემდეგ ახანძალთან სტუმრად მოდიან ქალის მშობ-
ლები და ნათესავები.

ასეთია ქორწილი ფერეიდანის.

3. ბუთლიაშვილი.

რუამ როგორც მიწად-მოქმედების სახალხო კომი-
სარმა და შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კო-
მიტეტის თავმჯდომარეს ახანაგმა, საქართველოს
წითელი ჯვრის საზოგადოებამ და ჯანმრთელობის
სახალხო კომისარიატმა.

ამხ. ვანო სტურუმი შიმშილის შედეგებთან
მებრძოლ კომიტეტიდან გასცა: ერთი ამერიკული
ტიუტი ტანსაცმელი; 200 ფ. ზორბალი, 25 ყუთი
კონსერვები, წონით 68 ფ. 10 გირ. 500 წყვილი
რუსული დაქსოვილი ქაღალდები, ერთი ტომარა ნახ-
მარი ფეხსაცმელი და 300.000.000 მან. ფულით.
მანვე მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სა-
შუალებიდან გასცა კრედიტით: ერთი პურის სა-
ლექი მანქანა 12 ძალიანი; ერთი 16 ძალიანი მო-
ტორო; ერთი სათიბი მანქანა, ერთი ცხენის ფოცხი
ხედი „საკის“ სისტემის გუთან; ორი ფარცხავი;
ორი ნამგალი, ოცი ცელი, ოცი ცული. და სხვა,
სულ—6.699 ჩერვონულ მანეთად ღირებული.

წითელი ჯვრის საზოგადოებამ შესწირა პა-
ტარა აფთიაქი და საცვლები. ჯანმრთელობის სახ.
კომისარიატმა რამოდენიმე ფუთი მედიკამენტები.

ამის გარდა შიმშილობის შედეგებთან მებრ-
ძოლ კომიტეტმა გაანთავისუფლა ზემოდ აღნიშნუ-
ლი საღამო დაწესებული საპროცენტო გადასახადი-
საგან, რითაც გააძლიერა საერთო შემოსავალი.

ყველა ზემო აღნიშნულ პირთ და დაწესებუ-
ლებებს ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოება
და უდინების რწმუნებული უცხადებს თავის უღრმეს
მადლობას დამხმარებისათვის.

ქართველ-უდინთა დამხმარე საზოგადოების
პრეზიდიუმი და უდინთა რწმუნებული ზ. სილი-
კაშვილი.

ამხ. რედაქტორო! დიდი ხანია, რაც მე ვმუ-
შაობდი სოც.-რევ. პარტიას. გადატრიბულების შემ-
დეგ, 1921 წ., დღემდის თვალყურს ვადევნებდი
ყველა პარტიების მუშაობას; დავრწმუნდი, რომ
ერის და მშრომელი მასის საკეთილდღეოდ, მებრ-
ძოლი და მომუშავე არიან მემარცხენე სოც.-დემო-
კრატები. ამიტომ ვინაობს სხენებული პარტიის
პროგრამას და არჩილ ჯორჯაძის მოქმედებას. დღე-
იდან მინდა ვიმუშავო თქვენთან ჩვენი ერის საკე-
თილდღეოდ.

იონა კითხავა.

მძლავრ სინათლიან მაშუქებს უნდა ჰქონდეთ ქრქა-
ლი ან წიწხალი ცარცით გაგვრებული მინები.

§ 6. მაშუქები მადნულ ზეთით, აქტილდე-
ნით ან ელექტრონით უნდა იყოს განათებული და
შეღებებისა უნდა იქნებოდეს.

§ 7. სამუშაოდ გამოყვანილ ავტომობილს თან
უნდა ჰქონდეს—საყვითელი სიგნალის მისაცემად, სია-
რულის ნებართვა და ტფილისის აღმასკომის მიერ
გაცემული საკუთარი მოწმობა-ნებართვა შოფერის
სახელზე ავტომობილის მართვის შესახებ.

§ 8. სამგზავრო და საბარგო ავტომობილების
და მოტოციკლეტების მმართველებმა თავიანთი
მანქანა არ უნდა დასტოვონ უთვალყუროდ, როდესაც
ისინი მუშაობენ, თუ მათ დასაკეთი მოწყობი-
ლებები არა აქვთ. მოძრაობის დროს კი მანქანე-
ბის ზემოხსენებული მმართველები ვალდებული
არიან იარონ მხოლოდ მარჯვენა მხრით, კუთხეები
არ გადასტარან და სიჩქარეს უკლონ ეზოდან გამო-
სვლის დროს, ხიდებზე, ჯვარედინებზე, მოსახვე-
ვებში, ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადა-
სვლის დროს და იმ ადგილებში, სადაც ხალხი
ბლომად იყრის თავს.

§ 9. სამგზავრო ავტომობილის მოძრაობა არ
უნდა აღემატებოდეს 15 ვერსს საათში, ხოლო
საბარგო ავტომობილისა 10 ვერსს საათში.

§ 10. სამგზავრო და საბარგო ავტომობილე-
ბისა და მოტოციკლეტების მგზავრობის დროს
მმართველები ვალდებული არიან თავის დროზე
გაფრთხილონ გზაზე გამგელები შესაფერის სიგნა-
ლებით. ასეთივე გაფრთხილება სავალდებულოა
დასახლებულ ადგილებში შესვლის დროს და თვით
მგზავნი ამ ადგილებშიც, ჯვარედინებზე, მოსახვე-
ვებზე, ამოღებულ ადგილების წინ, აგრეთვე ქიშკ-
რებიდან გამოსვლისას, ტრამვაის გასაჩერებელ ად-
გილებთან გასვლის დროს. მოძრაობის შეწყვეტისას,
გაჩერებისას და მოხვევის დროს ბეგრითი სიგნალები
თან ერთად სავალდებულო სიგნალების მიცემა. გა-
ფრთხილება იმათი, ვინც უკან მოდის, გვერდზე მა-
რჯვენა ან მარცხენა ხელის აწევით იმის და მიხედ-
ვით თუ რომელ მხარეზე ზის მანქანის მმართ-
ველი.

§ 11. ქალაქში შეხვევის დროს საჭიროა ყო-
ველთვის ქუჩის მარჯვენა მხარეზე გასვლა. მარცხ-
ნით შეხვევის დროს საჭიროა დიდი რაჟალის გაქე-
თება, მაგრამ ისე, რომ იგი მარცხნით ქუჩის შუა-
გულს არ უნდა გადასცილდეს, რომ მარცხენა კუთ-
ხე წინ შემოხვედრილ ეტლებისათვის თავისუფალი
დარჩეს. შეხვევა მარჯვნივ უნდა ხდებოდეს პატარა
რკალით და ავტომობილი ქუჩის შუა გულს იქით
არ უნდა გადადიოდეს.

§ 12. მარცხნით შეხვევამდე შოფერმა უსათუ-
ოდ უკან უნდა მოხედოს და სიგნალი მისცეს საყ-
ვითი და აწეული ხელით, რომ ის ვინც უკან მი-
დის არ დეტაკოს.

§ 13. თუ ჯვარედინზე ორი ავტომობილი
ხედება ერთმანეთს, ამ შემთხვევაში ავტომობილი,
რომელიც მარცხნით მოდის, გზას უთმობს მარჯვე-
ნა მხრიდან მომავალ ავტომობილს.

§ 14. უნდა განსაკუთრებული ყურადღება იქ-
მნას მიუძღუდეს იმაზე, რომ ქუჩის ყოველ ჯვარედინ-
ზე ან დაბრკოლებების დროს შოფერმა გაზის გა-
მოშვებით ან წყლის გადაყენებით დროზე შეანელოს
ავტომობილის სვლა.

§ 15. იმ შემთხვევაში, თუ სანიშნეული ხელ-
საწყო გაუფუჭდა გზაში და შეუძლებელია ღამით
მაშუქების ანთება, მანქანათა მმართველები ვალდე-
ბულნი არიან იმობილი სრულიად ნელად, ჩვეულე-
ბრივ ეტლის მოძრაობის საშუალო სიჩქარეზე გა-
დაუშვებულად.

§ 16. სიარული ქალაქში სამგზავრო და სა-
ბარგო ავტომობილებზე, რომელნიც თავისუფლად
უშვებენ გაზს, ე. ი. რომელთაც ღია მაჟუჩი აქვთ,
უსათუოდ აკრძალულია.

§ 17. სამგზავრო და საქონლის ავტომობილე-
ბისა და მოტოციკლეტების წასაყვანად არავითარ
შემთხვევაში მთვრალეები არ უნდა იქმნენ დაშვებუ-
ლნი—ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის პა-
სუს აგებენ არა მარტო მმართველი ავტომობი-
ლებისა, არამედ მანქანათა პატრონებიც, რომელ-
თაც აშკარა მთვრალეობის მისცეს მანქანის მართვის
ნება.

§ 18. თუ სამგზავრო ან საბარგო ავტომობი-
ლებისა და მოტოციკლეტების გაგზავნა მიზე-
ზი რაიმე უბედური შემთხვევით, თუ უბედურად
შედევებით (მაგ. მეორე უკიდურეს დატემა, ცხენის
შეშინება და სხვა), ან შემთხვევით, ან მანქანის
მგზავნი ვალდებული არიან შეჩერდნენ და დაშა-
ვებულთ დახმარება აღმოუჩინონ.

§ 19. სამგზავრო და საბარგო ავტომობილე-
ბისა და მოტოციკლეტების მარვა მხოლოდ იმ პირთ
შეუძლიათ, რომელსაც ამ საკანზე აქვს შესაფერი
მოწმობა, ქალაქის აღმასკომის მიერ გაცემული.

შენიშვნა—კერძო და სამოქალაქო მან-
ქანა მმართველებს მანქანათა მართვის შესა-
ხებ ნებართვას აძლევს ტფილისის აღმასკომი,
ხოლო სამხედრო უწყების მანქანათა მმართვე-
ლებს ინჟინერთა დისტანციის უფროსის სა-
მართველო.

§ 20. თუ აღმოჩნდა, რომ იმ § 19 მოთხოვ-
ნის შეუსრულებლობა მოხდა თვით მოძრავე ეკიპა-
ჟებში მჯდომ მგზავროთა თანხმობით ან ბრძანებით,
ამ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებიან მიცემულ-
ნი არა მარტო მანქანის მმართველი, არამედ სამ-
გზავრო თუ საბარგო ავტომობილებში მყოფ-
ნიც.

§ 21. ტფილისსა და მის მიდამოებში მმოდ-
რავო ავტომობილები ორ კატეგორიით არიან და-
ყოფილნი—პირველ კატეგორიას ეკუთვნის ლუწ-
ნომრებიანები, სახელმწიფო და კერძო პირების კუ-
თხილებანი, ხოლო მეორე კატეგორიას კენტ—ნომ-
რებიანები—სამხედრო უწყების მანქანები.

§ 22. აღნიშნულ დადგენილების დამრღვევნი
სასტიკ პასუხის გებაში იქნებიან მიცემული აღმი-
ნისტრატული წესით, რისთვისაც შესაფერი სასჯე-
ლის დასაღებად სამხედრო უწყების სამგზავრო და
საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების
მმართველი უნდა იქმნან წარმოდგენილნი ქალაქის
კომენდანტთან, ხოლო სახელმწიფო და კერძო პირ-
თა ავტომობილების მმართველი მილიციის უფროს-
თან.

§ 23. მილიციის მოხელეთა ყოველი მოთხოვ-
ნა შეჩერების შესახებ (ხელის აწევით, სტვენით და
სხვა საშუალებით, რომელიც ადვილად გაიგება)
უნდა შესრულებულ იქნეს დაუყოვნებლოდ და აუცი-
ლებლად.

§ 24. ქალაქის მილიციის მოხელეთა ვეგლებათ
თვალყური ადევნონ ტფილისის აღმასკომის მიერ
მიღებულ დებულებათა შესრულებას და ყოველი
შემჩნეული შემთხვევა მათი დარღვევის შესახებ
დაუყოვნებლოდ მოახსენოს თავიანთ უფროსს დაშა-
ნაგეთა პასუხის გებაში მისაცემად.

§ 25. ამ დადგენილების დარღვევისათვის გა-
დაწვევტილია ჯარიმა 100 მანეთი ჩერვონეცით ან
საპრობილში დამწყვეტეა ორი თვით თანახმად
სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის
დებრეტისა 4 მაისიდან 1923 წ.

შენიშვნა—აღმინისტრატულად დატუქ-
სეილ პირთ ეს დატუქსვა ვერ გაანთავისუფ-
ლებს სამართველოს სასჯელისაგან, თუ ამ
პირთ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაი-
ნინეს.

§ 26. აღნიშნული დადგენილება შედის ძალა-
ში დღიდან მის გამოქვეყნებისა საბჭოთა ბეჭდო-
თი ორგანოებში.

აღმასკომის თავმჯდომარე სუხიშვილი.

სამმართველოს განყოფილების გამგე თაქთა-
ქიშვილი.

მდივანი თიკანაძე.

27 ივნისი, 1923 წ.

ქ. ტფილისი.

დაპყარბე

პირადობის მოწმობა მოცემუ-
ლი მე-8 ტენიკუმიდან 25 დე-
კემბერს 1922 წელს № 424. გთხოვთ ჩათვალოთ
გაუქმებულად.

ზაქარია იშხნელი.

დაპყარბე

სახლის (რეიტერის ქ. № 35)
წიგნი რომლის №-ი არ მახ-
სოვს ჩაითვალოს გაუქმებულად.

მერკური თედორეს ძე ბოლდირევი.

№ 431.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

მთავრობის მოქალაქეობა —და განმარტება—

გფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილება № 14.

ტფილისში და მის მიდამოებში სამგზავრო და
საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლეტების
მოძრაობის მოსაწყობად ტფილისის აღმასკო-
მი ადგენს:

§ 1. ტფილისის და მის მიდამოებში სამგზავ-
რო და საბარგო ავტომობილებით და მოტოციკლე-
ტებით მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ ტფილი-
სის აღმასკომიდან ნებართვის მიღებისა და მიმო-
სვლის საშუალებით დადგენილ წესით შემოწმების
შემდეგ.

§ 2. ავტომობილებით მოძრაობა შეიძლება:
ა) საკუთარ საჭიროებისათვის და მსუბუქე ავ-
ტომობილებით ტვირთთა ზიდვის მიზნით ყველა
ქუჩებზე.

ბ) ქალაქში სიმძიმის გადასაზიდვად საბარგო
ავტომობილებით ყველა ქუჩებზე გარდა რუსთავე-
ლისა, პეტრიაშვილის პრ., სოლოკისა, საბჭოთა
(ყოფ. ჩერკეზიშვილისა) და მალაქის ქუჩებისა.

გ) ავტომობილ-ონნიტუსებისათვის იმ გზებზე,
რომლების შესახებ ყოველ კერძო შემთხვევაში იქ-
მნება აღმასკომის დაბრკიება.

§ 3. სამგზავრო და საბარგო ყველა ავტომო-
ბილებსა და მოტოციკლეტებს, რომლებიც ტფი-
ლისში და მის მიდამოებში მიმოდიან, უსათუოდ
უნდა ჰქონდეთ ორი სანომრო ნიშანი, ტფილისის
აღმასკომის მიერ გაცემული. სანომრო ნიშანი ავ-
ტომობილებსა და მოტოციკლეტებს უნდა ჰქონ-
დეთ მიმავრებული წინ და უკან, გამოსაჩენ ად-
გილზე.

§ 4. გაცემული ნიშანი ნამდვილია მხოლოდ
გასინჯულ ავტომობილებისათვის. იმ შემთხვევაში,
თუ ნიშანი ან სათანადო მოწმობა დაიკარგა, ტფი-
ლისის აღმასკომი იძლევა დუბლიკატს დასამზადე-
ბისათვის საჭირო ღირებულების გადახდის შემდეგ.
ავტომობილების ხელ-ახლა გასინჯვა და გამოცდა
ხდება სანომრო ნიშნების მოქმედების ვადის გათა-
ვებისას ამ უკანასკნელთა გამოცვლის დროს.

§ 5. სამგზავრო და საბარგო ავტომობილებზე
და მოტოციკლეტზე საჭიროა ენთოს წინ უსათუოდ
ერთი მაშუქი, უკანა მაშუქის ანთება კი არ არის
სავალდებულო. მაშუქებში სინათლის რამოდენიმედ
გასაღებლად დანაშვებია პროექტორ-რეფლექ-
ტორები, მაგრამ აკრძალულია ქალაქის ფარგლებში
ისეთ მოწყობილებათა ხმარება, რომელნიც შემო-
ხვედრილ ადამიანს და ცხოველებს აბრავებენ.

ამიერ-კავკასიის რეინის გზებზე მიმოსვლის წესსა

სტოილისიდან გადის

მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით	1600
მატ. № 1 სწრაფი პეტროგრა. პარასკეობ.	
მატ. № 1 " " " სამშაბათ.	
მატ. № 2 " ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3 კახეთში	7.15
მატ. № 4 ბათუმში	8.05
მატ. № 8 ბათუმში	20.40
მატ. № 20 ბორჯომში	15.20
მატ. № 21 ბაქოში	11.25
მატ. № 22 ბათუმში	0.20
მატ. № 3 ერევანში კენტი რიცხვი	18.00
მატ. № 35 კახეთში	10.35
მატ. № 31 ჯუღთაში ყველ რიცხვი	23.00

საბაგაკო

მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16 ხაშური შაბათობით და უქმის წინადლით	1.55

სტოილისში მოდის

მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით	14.40
მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ.	
მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ.	15.30
მატ. № 2 პეტროგრადიდან პარასკეობ.	
მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4 როსტოვიდან	6.35
მატ. № 4 კახეთიდან	21.50
მატ. № 7 ბათუმიდან	8.50
მატ. № 19 ბორჯომიდან	8.00
მატ. № 21 ბათუმიდან	4.20
მატ. № 22 ბაქოიდან	14.50
მატ. № 4 ერევნიდან ყველ რიცხვი	10.20
მატ. № 3 კახეთიდან	18.45
მატ. № 34 ჯუღთიდან კენტი რიცხვი	18.15